ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოროშაბათი, 19 აგვისტო, 2019 №195 (8149) ფასი: 60 თეთრი

## რუსთავი 2-ს დავით იაკობაშვილი ყიდულობს?



გვ.2



## ნიკა გვარამიამ ტელეკომპანია მთავარი არხი დააფუძნა

# „ივანიშვილი პრემიერად უფრო ცქიტიშვილს გაუშვებს, ვიდრე გახარიას“



გვ.3

## ვახტანგ ძაბირაძე: „არჩევნების მოსაგებად სამთავრობო ცვლილებები საკმარისი არ იქნება“



## თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილი სამშობლოს პუტინს ცოცხა-ცოცხით აბარებს“

## „2 დღის განმავლობაში ჩატაევის მძევალი ვიყავი“



წერილი საქართველოდან
წერილი რუსთავის გვ-6 გააქრ რეჟიმის საქართველოდან

გვ.2

ზურაბ გორნაკაშვილმა დუმილი დაარღვია

### „ხაზარაძე მესამე ძალა ვერ გახდება“

„ახლა ოპოზიცია კი არა, მთავრობა უნდა ყვიროდეს. ჩვენ ვეხვეწებით და აქეთ გვლანძღავენ“



გვ.3



## დავით ლორთქიფანიძე: „გუგუტიანთკარის გამო ხელისუფლებამ სერიოზული ხმაური უნდა ატეხოს“

გვ.4

სამართალი გვ.5

## ოთარ აბესაძეს ბრალი შეუმსუბუქეს

„აგენტი პროვოკატორი მომიგზავნეს და ციხეში იმიტომ აღმოვჩნდი“



## „დედამთილი მის მშობლებს ვალს არ უბრუნებდა“



რატომ მოჰპარა ნინო ჭითანავამ დედამთილს ფული

## ნიუნიანიძის ქუჩაზე აივანი ჩამოინგრა

5 ადამიანი დაშავდა

ISSN 1987-9385

4 რუსეთი საქართველოს გაფართოებულ ევრაზიულ კავშირში ითრევს

6 ქაბულში ქორწილი ააფეთქეს
63 ადამიანი დაიღუპა

2 რუსეთში 16 წლის ნარკინებულმა მოსწავლემ ოჯახის 5 წევრი დახოცა და მერე თავი მოიკლა

6 გერმანია დევნილის სტატუსს ჩამოართმევს ყველა უცხოელს, რომლებიც მშობლიურ ქვეყანას რეგულარულად სტუმრობენ

# „2 დღის განმავლობაში ჩატაევის მძევალი ვიყავი“

## ზურაბ გორნაკაშვილმა დუმილი დაარღვია

რუსთავი 2-ს ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული რიზვან, იმავე ზურაბ გორნაკაშვილის წერილი მიუტანეს.

ზურაბ გორნაკაშვილს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული. ის სასჯელს სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს. წერილის ადრესატი კი საზოგადოებაა.

გორნაკაშვილი წერს, რომ თურქეთში ახლობლის თხოვნით გადავიდა და 2 დღის განმავლობაში აჰმედ ჩატაევის მძევალი იყო. აჰმედ ჩატაევთან გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ გორნაკაშვილი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ტერორისტის საქართველოში შემოყვანა სპეცსამსახურებთან შეთანხმებული იყო.

გორნაკაშვილის ადვოკატი კახა სოსელია ასახელებს იმ ადამიანებს, რომლებმაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი თურქეთში მოტყუებით გაუშვეს. ერთ-ერთი ბაადურ ჩოფანაშვილია, რომელიც




ამავე საქმეზე გასამართლებული პირია.

ადვოკატის ინფორმაციით, ზურიკო გორნაკაშვილმა ჩატაევი საქართველოს საზღვრამდე მოიყვანა და ამით მისი მისია ამოიწურა.

მეორედ გორნაკაშვილი ჩატაევს უკვე თბილისში 2017 წლის 30 ოქტომბერს შეხვდა. ის ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სიძის ბინაში ცხოვრობდა. სწორედ ამ მისამართზე მივიდა ჩატაევი ღამით და აიძულა, ბინა მისთვის დაეთმო.

ზურიკო გორნაკაშვილი წერილში წერს, რომ ბერი სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსი სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში იყო. შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო, ვინ დადიოდა ჩატაევთან ბინაში.

გორნაკაშვილი წერს, რომ 2017 წლის 21 ნოემბერს ბინაში მისი ყოფნა უნდოდათ. ყოველ შემთხვევაში, ადგილზე მისვლას მისი ე.წ. ახლობლები სთხოვდნენ.

ზურაბ გორნაკაშვილი 2017 წლის 26 დეკემბერს თბილისში ახალ სამუშაო ადგილზე ხელახლა დააკავეს. ის იმ სპეცოპერაციის ფარგლებში აიყვანეს, რომლის დროსაც სპეცრაზმელებმა თემირლან მაჩალიკაშვილი სასიკვდილოდ დაჭრეს. გორნაკაშვილი წერილში წერს, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მას სახაზინო ადვოკატი იცავდა, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ბრალდებულ გორნაკაშვილს არ ელაპარაკა.

ადვოკატი და ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ ზურიკო გორნაკაშვილს მინიმალურ სასჯელზე გარიგებას სთავაზობდნენ, თუმცა მას კონკრეტული პირობა უნდა შეესრულებინა და მაჩალიკაშვილზე ჩვენება მიეცა, სადაც ის მოკლული ახალგაზრდისა და საერთაშორისო ტერორისტის კავშირზე ისაუბრებდა.

რას შეცვლის სააპელაციო სასამართლო გორნაკაშვილის საქმეში, უცნობია.

# რუსთავი 2-ს დავით იაკობაშვილი ყიდულობს?

გავრცელებული ინფორმაციით, რუსი ოლიგარქი დავით იაკობაშვილი სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის მყიდველების მსურველთა შორისაა.

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, იაკობაშვილი ხალვაშთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. უცნობია მოლაპარაკების დეტალები და ასევე ის, თუ რა თანხას სთავაზობს რუსი ოლიგარქი ტელეკომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

ბოლო მონაცემებით, იაკობაშვილის ქონება 750 მლნ დოლარს შეადგენს და ის რუსეთის 200 ყველაზე მდიდარი ბიზნესმენთა სიაში 145-ე ადგილზეა.

დავით იაკობაშვილი რუსული რძის, წვენებისა და სასმელების მწარმოებელი კომპანიის სს „ვიმ-ბილ-დან“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია და 2001-2010 წლებში კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

წლების განმავლობაში მის სახელს საქართველოშიც არაერთი ბიზნესი უკავშირდებოდა.



დავით იაკობაშვილი ხელოვნების ნიმუშების ცნობილი კოლექციონერია – აგროვებს მექანიკურ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საათებს, ზარდახშებს, რუსული ბრინჯაოს ნაკეთობებს, მხატვრულ ვერცხლს, რუსულ და დასავლეთევროპულ ხელნაკეთ ნივთებს.

# ნიკა გვარამიამ ტელეკომპანია მთავარი არხი დააფუძნა

გასული კვირის ბოლოს ნიკა გვარამიამ ტელეკომპანია მთავარი არხი დააფუძნა.

ამის შესახებ მან 16 აგვისტოს, საღამოს, ფეისბუქში დაწერა:

„მაშ ასე, ტელეკომპანია „მთავარი არხი“ დაფუძნდა. საკონტროლო პაკეტის მფლობელი და დირექტორი გახლავართ მე, თქვენი მონა მორჩილი.

წილების ეს კომპოზიცია დროებითია და პირობითი. მალე გაიგებთ ინვესტორების, შენობის, სიხშირის და, თქვენი დიდი იმედი გვაქვს, ანგარიშის შესახებ, რომელზე თქვენი შემონატანი ერთი ლარიც კი ძალიან დაგვეხმარება ჩვენ და იქნება ინვესტიცია საქართველოს დასავლურ და



დემოკრატიულ მომავალში.

მაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ! ძალიან მალე ეთერში! უფრო ადრე, ვიდრე გგონიათ“.

გვარამიამ საჯარო რეესტრის დოკუმენტიც გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ტელეკომპანიის 51%-ს ნიკა გვარამია ფლობს, 49%-ს კი – კახაბერ ანჯაფარიძე.

ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაა, ფინანსური დირექტორი – ირაკლი ნიჟარაძე, დირექტორებად კი დიმიტრი საძაგლიშვილი და თამთა მურადაშვილი არიან მითითებული.

# ბიძინა გეგიძე სუს-ში დაიბარეს



ბიძინა გეგიძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვაზეა დაბარებული. აღნიშნულ ინფორმაციას თავად მმართველი გუნდის დეპუტატი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

გეგიძის ინფორმაციით, გამოკითხვაზე ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენლებმა დაიბარეს. ის უწყებაში უახლოეს დღეებში მივა.

ამ დროისთვის უცნობია, რა საკითხთან დაკავშირებით არის დაბარებული ის გამოკითხვაზე.

# ოკუპანტებმა საქართველოს 8 მოქალაქე დააკავეს



17 აგვისტოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის მცხოვრები 8 ადამიანი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა დააკავეს.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის, ტარიელ ვათიაშვილის, თქმით, 17 აგვისტოს შუადღეზე ბიჭები წმინდა გიორგის ეკლესიაში წავიდნენ:

– დღეს არანაირი დღესასწაული არაა, თუმცა, როგორც ჩანს, მოიწადინეს ასვლა.

მეორე დღეს, 18 აგვისტოს, ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა მურატ ჯიოევმა თქვა, რომ საქართველოს 8 მოქალაქე სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთისთვის დააკავეს.

ჯიოევის განცხადებით, ისინი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, კერძოდ – ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ. მისივე თქმით, გატაცებულებს ჩხრეკისას მცენარეული სახის ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდათ.

გუშინვე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გატაცებული მოქალაქეების ავტომობილები ქართულ მხარეს გადასცეს.

მანქანები ექსპერტიზაზეა გადაყვანილი.

# რუსეთში 16 წლის წარჩინებულმა მოსწავლემ ოჯახის 5 წევრი დახოცა და მერე თავი მოიკლა

რუსეთში, ულიანოვსკის ოლქში, სოფელ პატრიკეევოში 16 წლის მოზარდმა ნაჯახით ოჯახის 5 წევრი დახოცა, რომლებიც მასთან ერთად კერძო სახლში ცხოვრობდნენ. ამის შემდეგ მან თავი მოიკლა.

თავდაპირველად მან დედა, ძმა, და, შემდეგ კი ბებია და ბაბუა მოკლა, რომლებიც „მას ძალიან უყვარდა და არ უნდოდა, გული დასწყვეტოდათ ქალიშვილისა და შვილიშვილების მოკვლის გამო“.




მკვლელობამდე დამნაშავემ მეგობარს გეგმა გაუმხილა და ხმოვანი შეტყობინება გაუგზავნა. ის ჩიოდა, რომ დასა და ძმას არ უყვარდათ, დედა კი დასცინოდა.

მოკლული და-ძმა ტყუპები იყვნენ, რომელთა ასაკი 4 წელი იყო, დედა – 42 წლის, ბებია – 69 წლის, ბაბუა 66-ის იყო.

16 წლის მოზარდი სკოლაში კარგად სწავლობდა და მრავალი სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული იყო. მან წერილი დატოვა, რომელშიც წერს, რომ თავის მოკვლა გადაწყვიტა და ამის გამო ახლობლებს რომ არ ენერვიულათ, ისინიც თან წაიყვანა.

# ნოსირთან 2 ადამიანი მანქანაში დაიწვა

გუშინ, 18 აგვისტოს, ავტოსაგზაო შემთხვევას სენაკი-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე, სოფელ ნოსირთან, 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ტრაგედია დღის საათებში მოხდა. 2 ავტომობილის შეჯახების შედეგად ერთ-ერთს ცეცხლი მოედო და მანქანაში მყოფი ორივე პირი ადგილზე დაიღუპა. მეორე მანქანაში მსხდომებმა გადმოსვლა მოასწრეს და ისინი მსუბუქად არიან დაშავებული.

– ერთმანეთს შეეჯახა ორი მანქანა. ერთი მთლიანად დაიწვა. წამებში მოხდა ყველაფერი, სახანძროც მოვიდა, მაგრამ მანამდე დაიფერფლა მანქანა. მეორე მანქანაში მსხდომები თავიანთი ფეხით გამოსულან, როგორც ვიცი, სერიოზული არაფერი სჭირთ, მაგრამ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი, – თქვა ნოსირის რწმუნებულმა გოგა ქორიძემ.

ადგილობრივების ინფორმაციით, ორივე მანქანა გაზზე მუშაობდა.

გზა, რომელზეც ავარია მოხდა, დაახლოებით 4 თვეა გადათხრილია და ის მოძრაობას აფერხებს. მოსახლეობა ამბობს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი გამხდარიყო.

ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით მიმდინარეობს.



# მაშველებმა მტკვრიდან რუსთავში დაკარგული 35 წლის მამაკაცის ცხედარი ამოიყვანეს

გუშინ, 18 აგვისტოს, მაშველებმა რუსთავში დაკარგული მამაკაცის ცხედარი მტკვრიდან ამოიყვანეს.

მტკვარზე საძიებო-სამაშველო ოპერაცია ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ღამის განმავლობაში ხდებოდა მდინარის კალაპოტის მონიტორინგი, დღისით დაკარგულ მამაკაცს მყვინთავები ეძებდნენ. დილით ცხედარი მტკვარმა გამორიყა და მაშველებმა წყლიდან 35 წლის მამაკაცის ცხედარი ამოიყვანეს.

ოპერაციაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს სამაშველო და მყვინთავთა ჯგუფები. ასევე, მამაკაცის ძებნა მიმდინარეობდა დრონის საშუალებით. ადგილზე მობილიზებული იყო ყველა შესაბამისი სამსახური“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი პრემიერად უფრო ცქიტიშვილს გაუშვებს, ვიდრე გახარიას“

## ვახტანგ ძაბირაძე: „არჩევნების მოსაგებად სამთავრობო ცვლილებები საკმარისი არ იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.**



***– ბატონო ვახტანგ, როგორც ამბობენ. წინასაარჩევნოდ ივანიშვილი მთავრობას შეცვლის. შემოდგომისთვის რამდენად რეალურია ცვლილებები?***

– „ქართულ ოცნებას“ აუცილებლად დასჭირდება ცვლილებები, რადგან ის კარგავს რეიტინგს, მაგრამ მთავრობის შეცვლა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. სხვა რაღაცაა საჭირო, რომელიც ძალიან კომპლექსურია. მართალია, ხელისუფლებაში ნებისმიერი ცვლილება გარკვეულ იმედებს აჩენს. მას ახლავს ასევე გარკვეული პიარი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ძალიან სწრაფად ეძლევა დავიწყებას ხალხის მხრიდან.

სამთავრობო ცვლილებები არაფერს შეცვლის მომავალი წლის არჩევნებისთვის. ასეთი პოლიტიკური კაპიტალი ამ ლიდერებს არ გააჩნიათ.

***– ძლიერ ხელზეა საუბარი.***

– ასეთი ძლიერი ხელი არის გახარია, მაგრამ მერე რა?! „ოცნების“ რეიტინგის ვარდნას აჩერებს თუ რა?! თავის დროზე ასეთი ძლიერი ხელი გახდა პრემიერი, მაგრამ დაასრულა ისე, როგორც დაასრულა. ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობის დროს ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებას.

***– პრემიერად გახარიასა და ცქიტიშვილის კანდიდატურები განიხილება. რომელს უფრო მეტი შანსი აქვს?***

– ბიძინა ივანიშვილის ფილოსოფიიდან გამომდინარე, ის ამ შემთხვევაში აქცენტს უფრო მაია ცქიტიშვილზე გააკეთებს. ეს უკვე შეიმჩნევა კიდეც. ბოლო პერიოდში ცქიტიშვილის გაპიარება ხდება.

***– „ოცნება“ არჩევნების მოგებას პიარით შეეცდება, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, იმ ებრაული პიარტექნოლოგების სასწაულების მე ნაკლებად მჯერა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მოსახლეობა ასეთი არჩევანის წინაშე დადგა: ან ნაციონალური მოძრაობა, ან „ქართული ოცნება“ და მან არჩევანი ამ უკანასკნელზე გააკეთა. ეს იყო და ეს. მომავალ არჩევნებში ეს თემა კვლავ დარჩება. საკითხავია, ეს ებრაული პიარჯგუფი პირველი ტურის დროს რომ ჩამოეყვანა, შედეგი იგივე იქნებოდა?!

***– ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი კვლავ ირაკლი ღარიბაშვილი გახდება. ასევე ამბობენ, რომ ის სწორედ ამ პირობით დაბრუნდა.***

– როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი დააბრუნეს, მე მაშინ ვფიქრობდი, რომ ის დაბრუნდა იმიტომ, რომ შეიძლება, გიორგი გახარიას გადაყვანა ხდება პრემიერის პოსტზე და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს მეორედ უბრუნდება ღარიბაშვილი. თუმცა 20 ივნისის შემდეგ კითხვის ნიშნები გაჩნდა.

თუ ივანიშვილი იმაზე წავა, რომ 20 ივნისის შემდეგ გიორგი გახარია პრემიერი გახდეს, მაშინ ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ გუნდში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატურაა.

ღარიბაშვილი, როგორც ვიცი, გუნდისთვისაც მისაღებია და მას ამ პოსტზე აშკარა მხარდაჭერა ექნება. თუმცა მე არ ველოდები, რომ ეს გადანაცვლება შემოდგომაზე მოხდეს. თუ ივანიშვილი ასეთ ცვლილებას აპირებს, მაშინ ეს უფრო მოგვიანებით იქნება, ალბათ უფრო არჩევნების მოახლოებულს.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტი თითქოს შენელდა, თითქოს რაღაცამ ჩაიარა, „გახარია წადი“ ტალღა მაინც მუშაობს. ამიტომ, მე ვეჭვობ, რომ გახარიას გაპრემიერება მოხდეს, თუ ამ ეტაპზე რაღაც არ მოხდა პოლიტიკურ ცხოვრებაში – რაღაც კატაკლიზმი უნდა იყოს, არეულობა, რაღაც ისეთი, რითაც იქნება გამართლებული გიორგი გახარიას დაწინაურება.

ანუ გახარიას გაპრემიერება გარკვეული აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული, რომ ხელისუფლებას ამ დაწინაურების გასამართლებლად სათქმელი ჰქონდეს.

# თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილი სამშობლოს პუტინს ცოცხა-ცოცხით აბარებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიაზე მცოცავ ოკუპაციას აგრძელებენ და ამჯერად სოფელ გუგუტიანთკარში დაიწყეს მავთულხლართების გაბმა. უმძიმესი კადრები ნახა საზოგადოებამ, როდესაც ადგილობრივი გივი რაზმაძის სახლი მავთულხლართებს მიღმა აღმოჩნდა და გივი რაზმაძე საკუთარ სახლს თავისივე ხელით შლიდა.

ადგილზე ჩასული იყო სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, რამაც რაღაც შედეგი გამოიღო და ოკუპანტებმა მავთულხლართების გაბმა შეაჩერეს.

სავალალო იყო ის ფაქტი, რომ ადგილზე არც პრემიერი, არც პრეზიდენტი და არც პარლამენტის თავმჯდომარე ჩასულან. მაშინ, როცა დიპლომატები გუგუტიანთკარში ჩავიდნენ, პრემიერი სამეგრელოში იყო და ფაროსანასთან გამარჯვებას აღნიშნავდა, ხოლო პრეზიდენტს განცხადებაც კი არ გაუკეთებია.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის „კანონი და სამართალი“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

***– გრძელდება მცოცავი ოკუპაცია, ვნახეთ უმძიმესი კადრები გუგუტიანთკარში, როდესაც გივი რაზმაძე საკუთარ სახლს თავადვე შლის. ვნახეთ ადგილზე დიპკორპუსის წარმომადგენლები, მაგრამ იქ არც პრემიერი გვინახავს, არც პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტს განცხადებაც კი არ გაუკეთებია. როგორია თქვენი შეფასება?***

– ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი ირაკლი ღლონტი ადგილზეა ჩასული. გეთანხმებით, მე არ მინახავს პირველი პირები იქ. ხანდახან არის, როდესაც დიპლომატიურ ენაზე საუბრის მწვავე ფორმები არსებობს, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია. ჩვენ, ოპოზიცია კი არ უნდა ვითხოვდეთ, მთავრობა უნდა ამბობდეს, რომ ჯაჭვი გამოცხადდეს. უნდა იყოს წერილები, საგანგაშო ზარები და საუბარი იმაზე, რომ „გვიშველეთ“. აი, ასეთ მდგომარეობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობა და მიმართავდეს საერთაშორისო თანამეგობრობას.

ეს ხომ არ არის თავდასხმა, თავდაცვის მდგომარეობაში ვართ. ამბობ, არ მინდოდა ომიო. გავიგე. კი ბატონო, არავინ ამბობს, კედელს შეასკდიო. არც ერთი ფორმა გამოყენებული არ არის. თქვენ ახლა საქართველოში ხედავთ საფრთხეს, ვხედავთ, რა დღეში არიან ადამიანები. თავი რად გვინდა ცოცხალი, რასაც ჩვენ ვუყურებდით გუგუტიანთკარში. ახლა ოპოზიცია კი არ უნდა ყვიროდეს, მთავრობა უნდა ყვიროდეს. ჩვენ ვეხვეწებით და აქეთ გვლანძღავენ.

გუშინ გამლანძღეს ფეისბუქში, რატომ ამბობო. რას ჰქვია, რატომ ვამბობ? ჩემ თვალწინ მიდის ჩემი ქვეყნის გადაბარება. ომი არ მინდაო, მაგრამ მშვიდობიანად მოგვარების ინსტიტუციებსაც რომ არ იყენებ? კი არ უნდა გააბუქო, მართლა რეალურად უნდა ასახო და შეძრა ამის გამო მსოფლიო.

ჩასული იყო ადგილზე სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი და ადგილობრივებს მიმართა, რით დაგეხმაროთო! ამას რა ჰქვია, არც კი ვიცი.

***– ციხელაშვილი შეწუხდა და ჩავიდა მაინც.***

– კი, მაგრამ მავნებლები არიან ესენი. ადამიანები საკუთარი ხელით შლიან სახლებს და, როდესაც შენ ლაპარაკობ ასე „სიაფანდად“, ეს რა არის, არ ვიცი. პრემიერი მსოფლიო ლიდერებთან უნდა რეკავდეს და მთელი ამბავი უნდა იყოს.

***– ხელისუფლების მუშაობა ვერ დაინახეთ? თუნდაც ის, რომ ადგილზე ჩავიდა დიპლომატიური კორპუსი, რაღაც შედეგი გამოიღო და ამ ეტაპზე ოკუპაცია გაჩერდა.***

– დიპლომატიურმა კორპუსმა უნდა დაინახოს, შენ როგორ იქცევი, ურეკავ და ეუბნები, მოდი და ორი სიტყვა შემაწიეო.

***– მაგას ვგულისხმობ ზუსტად. ვერ დაინახეთ, რომ ისინი ხელისუფლების მეცადინეობით ჩავიდნენ?***

– იქნებ ოპოზიციის მეცადინეობით? გავწყდით წელში. გასწორებული გვაქვს დღე და ღამე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ერთი დღით ვიყავით ბათუმში, პარტიული შეხვედრები მქონდა და ისე გავაკეთეთ, რომ წავედით და მთელი ღამე ვიარეთ, რომ როგორმე დროულად ჩამოვსულიყავით.

***– სამაგიეროდ, გორის მერია აჭარაში, გონიოში და ისვენებს (გორის მერი თავზარაშვილი შვებულებიდან 18 აგვისტოს გამოვიდა, როცა ინტერვიუ უკვე ჩაწერილი იყო – რედ. შენ.).***

– დიახ, სამაგიეროდ, გორის მერი „ზაგარს“ იღებს. რა დროს დასვენებაა, როდესაც ქვეყანას გვართმევენ. ესენი ვინ არიან? ამაზე პასუხს ვაგებინებთ.

ფილმს, რომელიც აგვისტოს დღეებში გავიდა ტელეიმედზე, რომ გაუშვებ ბიძინას არხზე, მერე დიპლომატიური კორპუსი დაგიჯერებს, რომ სამშობლო გტკივა? შენ ხომ ამით ოკუპანტი რუსეთის პოზიცია აჟღერებ. ეს იყო ლალიაშვილ-ნაცვლიშვილის ფილმი.

***– ნაცვლიშვილს როცა ახსენებთ, სახელიც დააკონკრეტეთ ხოლმე, ცუდად მხვდება ყურში, მეც ნაცვლიშვილი ვარ.***



**„ხაზარაძე მესამე ძალა ვერ გახდება“**

– საინტერესო იუმორისტული პასაჟი შემოიტანე. რა თქმა უნდა, ლაშა ნაცვლიშვილი, დავაკონკრეტებ ამის შემდეგ.

ამიტომ არ მჯერა ამათი. არც არის დასაჯერებელი. არ მუშაობს ხელისუფლება. პირიქით, ის ეკრანზე უშვებს მოღალატეობრივ ფილმს. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ ოკუპანტი მოგვექცეს ისე, როგორც გვექცევა. შეკრული არიან ამ ხელისუფლებასთან. მეტი რით დაამტკიცოს? საქართველოს თავზე გაჩენილმა ამ უბედურებამ, ივანიშვილმა სხვა რით დაამტკიცოს? 20 ივნისს გავრილოვის ღამეს თვალები დაგვთხარა, 11 აგვისტოს ფილმით თავი მოგვჭრა, მეტი რა ქნას?!

აგვისტოში ომის დროს ერთი ამბავი რომ ატყდა, სააკაშვილმა ის მაინც მოახერხა, რომ ნახევარი მსოფლიო აქ იდგა იმ უბედურების ჟამს. ივანიშვილი არის პუტინის დასმული. ფულიც არ არის-მეთქი მაგისი, ვამბობ. ამდენი მილიარდი რომ გქონდეს, ასე თავს არ გაალანძღვინებ ხალხს. ორ კაპიკს გაიმეტებ ხალხისთვის და არა ლაგამამოდებულებისთვის. სახელისა და გვარის დატოვებას მაინც მოინდომებდა ისტორიაში, მაგრამ ვერაფერს აკეთებს ივანიშვილი, რადგან პუტინის კაცია და მისგან მართული.

***– სააკაშვილი აკრიტიკებს კობი-გუდაურის მონაკვეთზე მაგისტრალის მშენებლობას. იზიარებთ მის პათოსს?***

– ვიზიარებ. სწორად თქვა. როკის გვირაბს დღეს ცხვირში ვირტყამთ. როცა საომარ ვითარებაში ვართ, მავნებელო და გონებასუსტო ხელისუფლება, ამის გაკეთება შეიძლება?!

***– თუმცა, მიშასაც გაუხსენეს, რომ მასაც ჰქონდა ეს პროექტი გეგმაში.***

– ჰოდა, მაშინაც არასწორი იყო. არ არის ამის კეთების დრო. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ რაღაცა აღვმართოთ, რომ არ შემოვიდნენ, აქეთ ვუხსნით?! მე ამათგან არაფერი აღარ მიკვირს, სათავეში გვყავს მოღალატეობრივი ხელისუფლება.

***– გგონიათ, რომ ეს მოღალატეობრივი პოლიტიკის გამო კეთდება და არა შეცდომის გამო იმ მხრივ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას უსაფრთხოების ნაწილი გათვალისწინებული არ არის?***

– მოღალატეობრივიც არის და ფულიც. გახსოვთ, ივანიშვილმა თქვა, ინფრასტრუქტურაში მილიარდ-ნახევარი გატანილია და სად არისო. გამოძიება არ არის დასრულებული.

***– კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდს გულისხმობთ?***

– დიახ და არანაირი გამოძიება არ არის. შენ როცა ახალ ინფრასტრუქტურაზე ფიქრობ, თუ ძველ პროექტში იყო კორუფცია და ფულის გაფლანგვა, სად არის გამოძიება? დიდი ფული კეთდება. ესე იგი ესენი ფულს აკეთებენ მოღალატეობრივი გზით. ორივე ერთად არის, ღალატი და ფული ერთად არის გადაჯაჭვული.

მე იმიტომ გადავუდექი მათ, თორემ ჩვენს ოჯახს განა პატივს არ სცემდა იმ წლებში. ლეგენდები დადიოდა ქველმოქმედ ივანიშვილზე და იმ წლებში მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმოდა ადამიანებს. მე კი არა, ნაციონალური მოძრაობის დროს პატრულს აფინანსებდა, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება აიღო ხელში და დავინახე, რომ ეს ქველმოქმედება გარიგებაა იმისთვის, რომ სამშობლო დამათმობინოს, არ წავალ ამ გარიგებაზე.

რეალურად პუტინი მიზის სათავეში. ეს კიდევ უარესია, ვიდრე პუტინი, იმიტომ რომ შენი სამშობლოს გამყიდველი ყოველთვის უარესია, ვიდრე გარე გამყიდველი. პუტინი თავის ქვეყანაშია, დამპყრობელია და ვინც არის, მთელმა მსოფლიომ იცის. მსოფლიო გააკვირვა მისმა დიქტატურამ.

***– მამუკა ხაზარაძემ თქვა, რომ გივი რაზმაძის ოჯახს სახლს აუშენებს. როგორ მიიღეთ მისი ეს განცხადება?***

– ძალიან კარგი, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მამუკა ხაზარაძეს მივესალმე იმ ვითარებაში, როდესაც ანაკლიის პროექტის კონფლიქტი შეიქმნა. მას მივესალმე ივანიშვილთან კონტექსტში, მაგრამ, ხაზარაძე იქნება თუ სხვა, გამიხარდება, რომ ცოტა ადრე გამოფხიზლდნენ ხოლმე. გამიხარდება, რომ ბიზნესმენები ცოტა ადრე გამოფხიზლდნენ, იქამდე, ვიდრე მათ კართან „დაიჩოქებს სიკვდილი“, რა თქმა უნდა, ამ ფრაზას გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ.

პირადად ერთ მამუკა ხაზარაძეს მესამე ძალად არ აღვიქვამ. დაგვიანებულ ძალებს არ ვენდობი, თორემ მამუკა ხაზარაძე თვითონ საინტერესო ფენომენია, მაგრამ, ის რომ მესამე ძალაა, ასე ნამდვილად ვერ დავტვირთავ. პოლიტიკაში შემოსასვლელად საინტერესო ფიგურაა, მაგრამ მესამე ძალის ფუნქციას ის ვერ აიღებს. მგონია, რომ მესამე ძალისთვის მან ძალიან დააგვიანა.

***– თანამშრომლობისთვის თუ ხართ მზად?***

– მზად ვარ ყველასთან თანამშრომლობისთვის, ვინც გაერთიანებულ ოპოზიციასთან თავად მოინდომებს ურთიერთობას. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. მე თვითონ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს გაერთიანება გაძლიერდეს.

თანამშრომლობა თუ მოუნდებათ, კარგი იქნება. ნახავთ, შემოდგომაზე როგორი იქნება გაერთიანებული ოპოზიცია, ჩვენ კიდევ ვუყურებთ, პროცესები როგორ წავა. ბლოკები არ შეიძლებაო და ახლა მიდის საუბარი იმაზე, რა ფორმით და რა სახელწოდების ქვეშ გავერთიანდებით.

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „იძულებული გავხდი, ქუჩაში გამოვსულიყავი“



მალხაზ მაჩალიკაშვილი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით საქართველოს რეგიონებში ხელმოწერების შეგროვებას აგრძელებს.

მალხაზ მაჩალიკაშვილი ზუგდიდში ჩავიდა. მისი თქმით, ის არ აპირებს ბრძოლის შეწყვეტას იქამდე, ვიდრე მისი შვილის სიკვდილი გამოუძიებელი რჩება.

– იძულებული გავხდი, გამოვსულიყავი ქუჩაში და შემომეარა მთელი რეგიონები იმის მოთხოვნით, რომ შემეგროვებინა ასიათასობით ხელმოწერა. დღეს დავიწყეთ ბათუმიდან, ახლა ვართ სამეგრელოში და სამეგრელოდან გადავინაცვლებთ არსებულ ყველა იმ რეგიონში, რომლებიც არის საქართველოში, – აცხადებს მალხაზ მაჩალიკაშვილი.

ნიუპოსტი



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# რუსეთი საქართველოს გაფართოებულ ევრაზიულ კავშირში ითრევს

მარიამ მჭედლიშვილი



რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველო დასახელდებოდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პოტენციურ წევრად, ქვეყნის ეკონომიკა კი საბედისწეროდ ჩამოეკიდებოდა ოკუპანტ სახელმწიფოსა და მის ტურისტებს.

რუსეთში ფართო გამოხმაურება მოჰყვა ქობულეთში გამართულ საპროტესტო აქციას. მიტინგი გამართეს სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელებმა. ისინი მოითხოვენ, რომ საქართველოს ხელისუფლება (მათ შორის, ადგილობრივმა) მათ ზარალის დაფარვაში დაეხმაროს. ისინი აცხადებენ, რომ რუსეთიდან დამსვენებლების შემცირების გამო საგრძნობლად დაზარალდნენ და ვალებს ვერ აბრუნებენ. მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ტურისტებზე გათვლილი ობიექტების მეპატრონეები უფრო მასშტაბური მოძრაობით იმუქრებიან.

ანტიქართულად განწყობილი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საქართველომ ვერ მოახერხა რუსი ტურისტების ჩანაცვლება ბელარუსებით, უკრაინელებითა და ირანელებით.

უკრაინიდან საქართველოში მეტი ხალხი ჩამოდის. ზღვისპირეთში, განსაკუთრებით, ქობულეთსა და ბათუმში, ჩამოსული უკრაინელები გაოცებული არიან არსებული პრორუსული განწყობებით. მაგალითად, დიასახლისები წყევლაკრულვას უთვლიან იმ ახალგაზრდობას, რომელიც ოკუპაციის წინააღმდეგ გამოდის, ბათუმელი ტაქსისტები კი უკრაინელებს მიმართავენ, რომ უკრაინა, საქართველოს მსგავსად, ამერიკელებმა მოატყუეს.

დასავლეთის საწინააღმდეგო ნოტები ბოლო დროს თბილისშიც ისმის. ამ ზაფხულს ნატოს საწინააღმდეგო მიტინგები და შეკრებები ბათუმსა და თბილისში გაიმართა. ისინი ღიად იყო წახალისებული ხელისუფლების მხრიდან. რუსეთუმეების მთავარი გზავნილია, რომ დასავლეთმა საქართველო მოატყუა და მიატოვა და ხსნის ერთადერთი გზა კრემლის წინაშე დაჩოქებაა.

როგორც ჩანს, მსგავსი აქტივობა და რუსეთიდან გადმოტანილი დისკურსი შემოდგომიდან გამძაფრდება. საქართველოში მოსალოდნელია აშშ-ის გააქტიურებაც, რომელიც, უცხოელი ექსპერტების თქმით, რუსეთს ყველა მხრიდან, მათ შორის, საქართველოდან, ალყაში აქცევს.

ამ რეალობაში დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგა მივიწყებული ევრაზიული კავშირის თემა.

კრემლთან დაახლოებული ექსპერტები მიუთითებენ, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები, რომლებსაც არ გამოუვიდათ ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელის დანერგვა, ერთად უნდა იყვნენ. ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობამ წარმოშვა ევრაზიული ეკონომიკური კავშირი. მას აუცილებლად ესაჭიროება ზეეროვნული მმართველობის ორგანო. ავტორების თქმით, სავალუტო-საფინანსო და სამხედრო გაერთიანებისათვის პირობები ჯერ არ არსებობს. თავიდან საკმარისია ეკონომიკური ინტეგრაცია.

კრემლის პოზიციების გამხმოვანებლების სიტყვებით, ნატოსა და ევროკავშირში შესვლის მოსურნე ვითომ წარმატებულ საქართველოსა და უკრაინას ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობა აქვთ. გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო ევროკავშირი ასეთებს აღარ დააფინანსებს. ამიტომ საქართველოსა და უკრაინას, ისევე, როგორც სხვებს, მოუწევთ ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთთან.

მათივე თქმით, საქართველოს, ფაქტობრივად, არ აქვს ეკონომიკა. ამ ქვეყანას ტურისტული სფეროსა და უხარისხო ღვინისა და წყლების გარდა არაფერი აბადია.

რუსეთში ნატოსა და ევროკავშირის წევრ ბალტიის სახელმწიფოებსაც კი გარკვეულად რუსეთზე დამოკიდებულად მიიჩნევენ. ავტორების აზრით, თავიდან რუსეთი არ პასუხობდა ბალტიისპირელების რუსოფობიურ გამოხდომებს. მოგვიანებით მოსკოვმა მათ წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური ზომები მიიღო, რის შედეგადაც მათი პორტების სატრანსპორტო პოტენციალი 10-ჯერ შემცირდა.



# დავით ლორთქიფანიძე: „გუგუტიანთკარის გამო ხელისუფლებამ სერიოზული ხმაური უნდა ატეხოს"

## 60 კაცი რუსთაველზე ისვენებს. დასაჯდომები მოიწყვეს და თავისუფალ დროს ატარებენ

გულიკო ბალაძე

**მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, პარტია „ქართული ოცნების" წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალი თაობის" კითხვებს პასუხობს.**

***– ბატონო დავით, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლებაში მოსალოდნელია საკადრო ცვლილებები. სქემაც არის შემოთავაზებული, რომ შეიძლება შს მინისტრად ღარიბაშვილი ვიხილოთ, ხოლო პრემიერ-მინისტრად – გახარია. თქვენი ინფორმაციით, რამდენად არის მოსალოდნელი ასეთი სქემით საკადრო ცვლილებები?***

– ოფიციალურად ჯერჯერობით ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, თუმცა გავრცელებულ ინფორმაციას არსებობის უფლება აქვს. ხელისუფლება ცოცხალი ორგანიზმია და ცვლილებები არასოდეს არის მოულოდნელი, მაგრამ დღეს, ხვალ და ამ თვეში რომ არ იქნება, არაორაზროვნად შემიძლია გითხრათ.

***– პრემიერმა მამუკა ბახტაძემ მთლად არ უარყო მოსალოდნელი ცვლილებები. მგონი, თქვა, რომ პარლამენტს ანგარიშს წარუდგენს და მერე გამოჩნდება, იქნება თუ არა ცვლილებები. მოგეხსენებათ, გახარიას გადადგომის მოთხოვნით მეორე თვეა, საპროტესტო აქციები იმართება. რამდენად არის მოსალოდნელი მისი გაპრემიერება და როგორ შეხვდება მოსახლეობა ამგვარ ცვლილებას?***

– არანაირი საპროტესტო აქციები არ იმართება. იმგვარი აქციების ჩატარება ყოველდღიურად ყველას შეუძლია რუსთაველზე. თუმცა, არავინ უარყოფს, რომ საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა იყო გავრილოვის თემაზე – ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. სამწუხაროდ, საჭირო შეიქმნა ძალის გამოყენება და სისხლი იყო, მაგრამ ეს უნდა იყოს გამოძიებული და პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც სისხლი დაუშვა, ვინც არასწორად შეასრულა ბრძანება.

გახარიასთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია მაქვს. ვფიქრობ, გახარიამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. მას ევალებოდა ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარება და მან ეს გააკეთა. მისი სხვა პოსტზე გადაყვანა და პრემიერად გადაყვანა რამდენად მოხდება არ ვიცი, მაგრამ ის არის არა მხოლოდ შს მინისტრი, არამედ ვიცეპრემიერი და, თუ ჩათვლის პარტია, მისი პრემიერ-მინისტრად გადაყვანა რელევანტურია. ვფიქრობ, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა პროტესტით არ შეხვდება.

***– გახარია ასევე არის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.***

– რა ცვლილებებიც იქნება მიღებული, პირდაპირ აისახება მმართველი პოლიტიკური ძალის იმიჯზე და რეიტინგზე. ცვლილებები არ არის გამორიცხული, მაგრამ ცვლილებები უნდა იყოს რელევანტური. მე არ ვთვლი, რომ გახარია არ არის პრემიერმინისტრობის ღირსი.

***– გახარიამ განაცხადა, რომ გამოძიებით თუ დადგინდება მისი დანაშაული, გადადგება. როგორც ვიცი, გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. თქვენ თქვით, მისი პრემიერობა რელევანტურიაო.***

– საზოგადოების რაღაც ნაწილმა შეიძლება გააპროტესტოს. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ქვეყანა, სადაც მმართველ პოლიტიკურ ძალას ყველა კვერს დაუკრავს. საზოგადოების რაღაც ნაწილი შეიძლება გამოვიდეს ამის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ყოველ საღამოს ვხედავთ, 60 კაცი რუსთაველზე ისვენებს. დასაჯდომები მოიწყვეს და თავისუფალ დროს ატარებენ თავიანთი აზრის შესაბამისად.

***– ბატონო დავით, ბოლო დღეებში შიდა ქართლში საოკუპაციო ზოლის გასწვრივ ოკუპანტების შემოტევაა. ჯერ იყო, მავთულხლართების მონტაჟი გააგრძელეს, შემდეგ ადამიანების გატაცების ფაქტები დაფიქსირდა. როგორც მმართველი პარტიის წევრი, რას იტყვით, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?***

– როგორც ამ ქვეყანაზე შეყვარებული ქართველი და პოლიტიკოსი, ამ ფაქტსა და ამგვარ ფაქტებს, ცხადია, ძალიან ნეგატიურად ვუყურებ. დღეს 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის შედეგებს ვიმკით. ბორდერიზაცია ხორციელდება მაშინ ხელმოწერილი დოკუმენტების გამოყენებით, იმ დოკუმენტებში დაფიქსირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების ფარგლებში, რომელიც დანაშაული იყო და დღეს ამას ოსური მხარე იყენებს.

გატაცებებიც სამწუხაროა. სამწუხაროა, რომ რამდენიმე მოსახლე იძულებულია, სახლკარი დაშალოს და დატოვოს თავისი ტერიტორია. იმედია, წყალსაქაჩს საფრთხე არ შეექმნება. ხელისუფლებამ ძალიან სერიოზული ხმაური უნდა ატეხოს, საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა იყვნენ საქმის კურსში.

ამ ვითარებაში ნაცმოძრაობის წარმომადგენლები დღეს ძალიან რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ მაშინ, როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსულ მხარეს საერთოდ არ ახსენებდნენ. გული მწყდება, რომ დღეს ეს ე.წ. პოლიტიკანები ჩადიან და მოსახლეობას ტვინს უმღვრევენ. მოსახლეობამ კარგად უნდა გაიხსენოს, როდის და რის გამო ჩაცვივდნენ ასეთ მძიმე მდგომარეობაში და მათაც უნდა ჰქონდეთ ნაციონალების განცხადებებზე რეაქცია.

***– თქვენ იცით, რომ სააკაშვილის ადვოკატი არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის ვაკრიტიკებდი, მაგრამ არ მიმაჩნია რელევანტურად ამ შემთხვევაში იმ დოკუმენტის ხსენება, რომელიც სააკაშვილის პერიოდში შეიქმნა. თქვენ კერძოდ რომელ დოკუმენტზე საუბრობთ?***

– მე ვსაუბრობ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ პარლამენტის დადგენილებაზე დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ. დოკუმენტების მთელი კომპლექსია. ჩვენმა ხელისუფლებამ აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადადგას, ამაზე ღიად უნდა ისაუბროს, დოკუმენტები უნდა გააცნოს. საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული. დღეს საზოგადოება ინფორმირებული არ არის.

ცალსახაა, რომ ჩვენ ახლა ომს ვერ გამოვუცხადებთ რუსეთს და საომარ მოქმედებებს ვერ განვახორციელებთ რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია. ფაქტობრივად, რჩება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენება. ის, რაც ახლა გუგუტიანთკარში ხდება, მხოლოდ ქართული სახელმწიფოს გამოწვევა არ არის.

***– აბა, კიდევ ვისი გამოწვევაა?***

– ვფიქრობ, რუსული მხარე თავისი მოქმედებით მსოფლიოს რაღაც მესიჯებს უგზავნის.

***– ბატონო დავით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების დანაშაულია, მაგრამ, არა მგონია, ამ დადგენილებითაც კი რუსულ მხარეს შიდა ქართლის შუა გულში, ამ ე.წ. ოლქის ადმინისტრაციულ საზღვარზე, მავთულხლართების გაბმის უფლება ჰქონდეს. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ხსენებული დადგენილების არგუმენტად მოყვანით შეიძლება იფიქრონ, რომ მათ ქმედებებს ვინმე ამართლებს.***

– არა, ასეთი რამ წარმოუდგენელია. ამ დადგენილების ხსენებით რუსული და ოსური მხარის ქმედებას არავინ ამართლებს. მე გეუბნებით, რომ ისინი ამას აკეთებენ. ისინი ამ დადგენილებას მიჰყვებიან.

**ჩვენ ახლა ომს ვერ გამოვუცხადებთ რუსეთს და საომარ მოქმედებებს ვერ განვახორციელებთ რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია. ფაქტობრივად, რჩება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენება. ის, რაც ახლა გუგუტიანთკარში ხდება, მხოლოდ ქართული სახელმწიფოს გამოწვევა არ არის**

***– ანუ ამ დადგენილებას სათავისოდ იყენებენ?***

– რა თქმა უნდა. მხარე ამ დადგენილებას იყენებს. სხვა მომენტებიც არის – ჩატარებული არჩევნები, რომელშიც იქაურმა მოსახლეობამ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ადმინისტრაციის მეთაური ოსური მხარის წარმომადგენელი იქნა არჩეული და ა.შ. ძალიან ბევრი ნიუანსი და კითხვის ნიშნებია, რომლებიც პასუხს მოითხოვს და პასუხი უნდა გაეცეს.

***– რადგან ამ დადგენილებას ოსები იყენებენ, რადგან დროებითი ადმინისტრაცია იყო შექმნილი (ხაზს ვუსვამ, დროებითი ადმინისტრაცია" შეიქმნა), ახლა „ოცნებაა" ხელისუფლებაში და არა სააკაშვილი, გააუქმეთ ეს დადგენილება.***

– მაშინ აბსოლუტურად სხვა მოცემულობა იყო, დღეს სხვა მოცემულობაა. მექანიკურად ამ დროებითი ადმინისტრაციის გაუქმება სწორი ნაბიჯი არ იქნება.

***– რატომ? მექანიკური გაუქმება არ გამოდის, რადგან ოსური მხარე ჩვენ მიერ მიღებულ დადგენილებას სათავისოდ იყენებს და ამბობს, თქვენ მიერ ამ დადგენილებით შემოხატულ ადმინისტრაციულ საზღვარს მივყვებით და ამიტომ ვაბამთ მავთულხლათებსო, პარლამენტმა დადგენილება გააუქმოს, რადგან ჩვენ საწინააღმდეგოდ მუშაობს.***

– დროებითი ადმინისტრაცია რომ არის შექმნილი, ეს კი არ მუშაობს ჩვენ საწინააღმდეგოდ, მაშინდელი ხელმოწერილი დოკუმენტი მუშაობს ჩვენ საწინააღმდეგოდ. თუ დღეს იმ დოკუმენტს გააუქმებ, მაშინ ის ხელშეკრულება გაქრება, რომელიც მაშინ შეიქმნა? არ გაქრება. აბსოლუტურად სხვა მიდგომებია საჭირო – საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართვა და რუსეთთან აქტიური მუშაობაა საჭირო საერთაშორისო დონიდან. ამ თემაზე მექანიკური გადაწყვეტილებების მიღება სწორი არ იქნება.

***– საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევა საერთაშორისო დონეზე და იმათი შეშფოთება, შეაჩერონ მავთულხლართების გაბმა, საკმარისი არ არის. რაღაც სხვა ღონისძიება საჭირო, ვთქვათ, პარლამენტის დადგენილებაც უნდა გაუქმდეს. ასევე ექსპერტები მეუბნებიან, რომ შეიძლება დანაღმული ზოლის გაკეთება, როგორც უკრაინაშია, რომ შეიძლება შეიარაღებული ძალების განლაგება ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე.***

– ძალიან ბევრი მიმართულებით არის მუშაობა საჭირო. მთავრობა და პარლამენტი მეტად აქტიურად უნდა ჩაერთოს. მე დეტალურად არ მაქვს ინფორმაცია, მთავრობა რა სამუშაოებს ატარებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დღის წესრიგში დგას ხელისუფლების ჰიპერაქტიურობის აუცილებლობა.

***– ამ თემაზე თქვენს შეწუხებას არ ვაპირებდი, მინდოდა, პარლამენტის წევრებს ეპასუხათ, მაგალითად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს, რომელსაც 1 კვირაა ვურეკავ, მაგრამ არ მპასუხობს. მაინტერესებდა, თუ მოიწვიეს კომიტეტის საგანგებო სხდომა, თუ იმსჯელეს და თუ ეძებენ რამე გამოსავალს.***

– პირიქით, მადლობა, რომ დამირეკეთ ამ საკითხთან დაკავშირებით. დღეს არც ერთი თანამდებობის პირი არ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, რომ ნებისმიერ მოქალაქეს გარკვეულ კითხვებზე პასუხის მიღების საშუალება არ ჰქონდეს. არ ვიცი, რატომ ვერ ხერხდება თქვენ და ირაკლი სესიაშვილს შორის კომუნიკაცია, მაგრამ გარკვეული პარტიული ტელევიზია ისევ აგრძელებს რაღაც აქტივობებს. აჟღერებენ, თითქოს სამხარეო ადმინისტრაცია და ადგილობრივი ხელისუფლება პროცესში ჩართული არ არის. ყველა დონის ხელისუფლების წარმომადგენლები იქ არიან.

***– ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ჩანან.***

– ვინც საქართველო ამ უბედურებაში ჩააგდო და დღევანდელი სტატუსკვო ვისი დამსახურებითაც არის, ჩემი აზრით, იმ ადამიანებთან მისვლას ვერ უნდა ბედავდეს. ერთ-ერთი ნაციონალი თუ ყოფილი ნაციონალი ვაშლობალში შეხვდა მოსახლეობას და აცხადებს, ეს ბაღები არ ირწყვებაო. თვითონ ხომ იყო ხელისუფლებაში, რატომ არ გააკეთა, არხები გააკეთა და ჩვენი ხელისუფლების დროს გაქრა. არაფერი გაუკეთებიათ. ახლა მელიორაციასა და სარწყავი არხების გაკეთებაში დიდი ფული იხარჯება. ნაცმოძრაობის დროს სოფლის მეურნეობაში ფულის ხარჯვას გოიმობას ეძახდნენ.

***– ბაქრაძეზე საუბრობთ, რომელიც ომის დროს მოგვიწოდებდა, ყველანაირი იარაღით გვებრძოლა თბილისში შემოსული ოკუპანტების წინააღმდეგ?***

– ახლა მაგ ადამიანებისაგან შენიშვნა, სარწყავი არხი რატომ არ გაუკეთეთო, სწორია? თვითონ რატომ არ გაუკეთეს?!

# ოთარ აბესაძეს ბრალი შეუმსუბუქეს

## „აგენტი პროვოკატორი მომიგზავნეს და ციხეში იმიტომ აღმოვჩნდი“

**2017 წლის 12 ივლისს სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ბრალდებით თბილისის მერიის თანამშრომელი ოთარ აბესაძე დააკავა.**

ერთწლიანი სასამართლო პროცესებისა და ციხეში გატარებული თვეების შემდეგ ოთარ აბესაძე 15 იანვარს პატიმრობიდან გაათავისუფლეს და სასამართლომ 10.000-ლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა. აბესაძის გათავისუფლებამდე მისმა ადვოკატებმა ექსპერტიზის დასკვნაც წარადგინეს, სადაც ეწერა, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო.

ახლახან აბესაძეს ქრთამის აღების ბრალდება – 339-ე მუხლი გადაუკვალიფიცირდა ნაკლებად მძიმე დანაშაულად, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს.

მერიის ყოფილი თანამშრომელი ამბობს, რომ მისთვის ბრალდება „ქრთამის აღება“ სრულიად მიუღებელი და მოულოდნელი იყო და ის რომ ახლა გამართლდა, მისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია.

30 წლის **ოთარ აბესაძე** საქმის დეტალებზე და მის ამჟამინდელ ცხოვრებაზე პირველად ამბები ჯი-თან ალაპარაკდა:

– ქრთამის აღების ბრალდებით დამაკავეს, რაც მიუღებელია ჩემთვის. ეს იყო შოკი. ქრთამის აღება არ დადასტურდა. ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ამ ბრალდებაში გამართლება, რადგან ბოლო 5 წელია, პროფესორი ვარ და სწორედ ამ საგანს ვასწავლი, ფინანსები, ეკონომიკა – ფული.

ეს ბრალი სამმაგად დამანგრეველი იყო ჩემთვის და ქრთამის აღება ჩამეხსნა. გადაკვალიფიცირდა მუხლი და ახლა ეს არის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.

ორი წელი მიდიოდა ეს პროცესები, ძალიან დავიღალეთ, კატასტროფულ მდგომარეობაში იყო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა, პლუს ჩემი კარიერა, რომელსაც ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტში ვიწყობდი, დავთანხმდი პროკურატურის შემოთავაზებას და მოვაწერე საპროცესოზე ხელი, იმისთვის, რომ დამთავრებულიყო სასამართლოები, კორუფცია და მექრთამეობა ჩემს სახელთან და გვართან არ ყოფილიყო ასოცირებული.

***– რა მოხდა რეალურად?***

– ჩემი ახლო გარემოცვიდან დამიკავშირდა ერთ-ერთი ადამიანი, რომელსაც ჩემი ადვოკატი ირმა ჭკადუა ახასიათებს, როგორც კვალიფიციურ აგენტ-პროვოკატორს. მან აბსოლუტურად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩემთან შემოსულიყო კომუნიკაციაში და წავეყვანე შეცდომისკენ. მას სურდა პატარა კაფეს გაკეთება მტკვარზე. ის აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკით, მზად იყო, მოეწყო ეს ბაკქანალია და მისი ჩვენების საფუძველზე დამაკავეს.

გეტყვით, რა წერია ჩემს საბრალდებო დასკვნაში – მე მას ვუთხარი: მე ჩემი პირადი კონტაქტებით, რაც შემიძლია, დაგეხმარები-მეთქი და ამის გამო აღმოვჩნდი ციხეში. კანონის ენით, ეს ითვლება ზეგავლენის მოხდენად.

***– ვინმესგან იყო მოგზავნილი ე.წ. აგენტ-პროვოკატორი?***

– ჩემი ადვოკატი მრავლისმნახველია, ბევრი რამ იცის და ამბობს, რომ ეს სტაჟიანი აგენტ-პროვოკატორია. ორ წელზე მეტია, მიდის ეს საქმე და სულ ამ კვანძის ამოხსნას ვცდილობ. ვის გადავეკვეთე, ვის რა დავუშავე, ვერ ამოვხსენი და ამაზე ფიქრმა დამმართა მძიმე დაავადება.

ჩემზე იმუშავა კვალიფიციურმა აგენტ-პროვოკატორმა. ეს იყო უმძიმესი პერიოდი. რეაბილიტაცია წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. 6 თვე ვიყავი საპატიმროში, გირაოში ყოფნისას გავაკეთე შეუძლებელი. მინდა, სხვებისთვის ვიყო სტიმული, სტიმული იმის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.



**„საპროცესოს მოვაწერე ხელი“**

ორი წელი ვერიდებოდი პრესას, სანამ ხელში არ მექნებოდა განაჩენი, ვერ დავიწყებდი ლაპარაკს. ეს ორი წელი გამოვიყენე და ორი უნივერსიტეტის პროფესორი გავხდი საქართველოში. ევროპის წამყვანმა უნივერსიტეტმა მიმიწვია, სამეცნიერო კუთხით განვვითარდი. როცა გგონია, რაღაც დამთავრდა, თურმე ეს ასე არ არის.

***– ძალა როგორ იპოვეთ, რომ თავიდან დაგეწყოთ ცხოვრება?***

– დამეხმარა ჩემი მეუღლე დეიკო (ოთარ აბესაძემ და დეამ აფციაურმა 2018 წლის დასაწყისში საპყრობილეში იქორწინეს), რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მე დავმდგარიყავი ფეხზე. როცა ტაქსის მძღოლი ვიყავი, ბევრი რამ გამოვიარეთ.

ბევრი რაღაც გავყიდეთ, ნოტარიუსი არ მართმევდა ფულს, შვილო, შენგან როგორ ავიღო ფულიო... 131-ე მარშუტკის მძღოლმა არ გამომართვა გზის ფული და აქეთ მომცა, გამოგადგებაო. ასეთმა ხალხმა გადამარჩინა... ყველა გრძნობდა, რომ მე განწირული ვიყავი.

დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს, ასევე კახა შენგელიას, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტი ლაპარაკობდა ჩემზე.

ჩემი განაჩენი ეძღვნებათ იმ „მეგობრებს“, ვინც დღეს აღარაა ჩემი მეგობარი. განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც როცა მე საავადმყოფოში ვიყავი, ჩემს მეუღლეს „ამშვიდებდნენ“, რა ვქნათ, ოთომ დააშავაო. ეს სიტყვები, რაც ჩემს ატირებულ ცოლს უთხარით, გაპატიეთ.

გულში არაფრის ჩადებას არ ვაპირებ, მაგრამ, მინდა გითხრათ, მაშინ, როცა ჩემი მეუღლე ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყო, თქვენ ეუბნებოდით, ოთო არის დამნაშავეო. ოთო არ ყოფილა კორუმპირებული და მექრთამე! მე თქვენ ამას გპატიობთ და ბედნიერებას გისურვებთ ყველას.

***– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?***

– კარგი შემოთავაზებები მაქვს ევროპის უნივერსიტეტიდან. არ გამოვრიცხავ გარკვეული პერიოდი იქ ვიცხოვროთ. მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი მოვალეობაა, აქ ვიყო აქტიური პიროვნება, მინდა, ბევრი კარგი საქმე გავაკეთო იმ ხალხისთვის, ვინც ჩემი გათავისუფლების პეტიციას მოაწერა ხელი.

**ამბები**

# ავარია გომთან

## დაიღუპა შუახნის ქალი




17 აგვისტოს ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გომთან, ცენტრალურ მაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც შუახნის ქალი დაიღუპა, 3 ადამიანი კი – მანქანის მძღოლი და 2 მოზარდი – დაშავდა.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ხაშურის საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

# მახინჯაურთან ერთმანეთს 2 მანქანა დაეჯახა

## 1 ადამიანი დაშავდა

16 აგვისტოს ბათუმი-ჩაქვის გზის მახინჯაურის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

ფაქტზე შსს-მ გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.




# „დედამთილი მის მშობლებს ვალს არ უბრუნებდა“

## რატომ მოჰპარა ნინო ჭითანავამ დედამთილს ფული

ახალი თაობა უკვე წერდა იმ ინციდენტზე, რომელიც ზუგდიდის 1 ოჯახში მოხდა – რძალმა დედამთილს ფული მოჰპარა, რასაც სასამართლო და რძლისადმი სამწლიანი პირობითი სასჯელი მოჰყვა.

მოგვიანებით ამ საქმის ახალი დეტალები გაირკვა.

როგორც ოჯახის ახლობლები ამბობენ, რძლის, ნინო ჭითანავას, დედამთილს მისი მშობლების ვალი ჰქონდა და ისინი ამ ვალის უკან დაბრუნებას არ აპირებდნენ.

– ნინოს მამას სიმსივნე ჰქონდა. ის თავის კუთვნილ თანხას ითხოვდა, სესხად რომ მისცეს. დედამთილი არ აძლევდა. ნინო თავის მოკვლითაც იმუქრებოდა. აიძულეს ფულის აღება. სირცხვილი მათ ამ გოგოს ასე გამწარებისთვის, – ამბობს ახლობელი.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. რძალმა დედამთილს 7.000 ლარამდე თანხა მოჰპარა. ქურდობის დროს სახლში 3 წევრი იმყოფებოდა. რძალმა ოჯახის კუთვნილი ავტომანქანის გატაცებაც ცადა, რის შემდეგაც დედამთილმა დახმარებისთვის მეზობლებს და პოლიციას მიმართა.

რძალი სამართალდამცავებმა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. ამოღებული თანხა დედამთილს სრულად დაუბრუნდა.

26 წლის ნინო ჭითანავას სასამართლომ 3-წლიანი საპროცესო შეთანხმება 15 აგვისტოს გაუფორმა. ამავე დღეს მას მამა გარდაეცვალა.



როგორც ოჯახის ახლობელი პრაიმტაიმს უყვება, ნინოს მამის გარდაცვალების შესახებ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს შეიტყვეს.

– მამა მანამდეც ავადმყოფობდა და ეს კარგად იცოდნენ მისმა ოჯახის წევრებმა, ვისთანაც იგი 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. ქმარი კარგა ხანია, წასულია საზღვარგარეთ და ნინო ბავშვებთან მარტო იყო და ქმრის ბებია და დედამთილი ეხმარებოდნენ შვილების გაზრდაში, – განუცხადა მან პრაიმტაიმს.

მისივე თქმით, ეთერ კაკულია, ქმრის ბებია, ნანობს, რომ ეთერში გამოჩნდა და სოციალურ ქსელში მისი აქცენტის გამო საქილიკო გახდა.

– არავისი ნახვა არ უნდა, არც სამსახურში გამოჩენილა, სადაც მუშაობს, – დასძინა მან.

# ნოდარ ბურდილაძის დაჭრისთვის კ.ი.-ს 7,5 წელი მიესაჯა

ონში გრიგოლ ვაშაძის შტაბის ხელმძღვანელ ნოდარ ბურდილაძის დაჭრაში ბრალდებულს 7 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული კ. ი. დამნაშავედ ცნო. მას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კ. ი. მისი კუთვნილი ავტომანქანით მივიდა ქ. ონში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სიტყვიერად დაუპირისპირდა მეზობლად მცხოვრებ ნ. ბ.-ს.



მათ შორის დაწყებული შელაპარაკება გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. განვითარებული კონფლიქტისა და ჩხუბის პროცესში, ნ. ბ.-ს მხრიდან განხორციელებული ძალადობით განაწყენებული კ. ი. მივიდა მისივე ავტომანქანასთან ამოიღო დანა და განზრახ მოკვლის მიზნით ნ. ბ.-ს რამდენიმეჯერ ჩაარტყა მუცლისა და წელის არეში.

პოლიციის თანამშრომლებმა კ. ი. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კ. ი. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ განუსაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

# ქობულეთში სომხეთიდან ჩასულ ცოლ-ქმარს მანქანა დაეჯახა

## ცოლი დაიღუპა, ქმარი კლინიკაშია




17 აგვისტოს, დილით, ქობულეთში ცოლ-ქმარს ავტომანქანა დაეჯახა.

ავარიის შედეგად ქალი ადგილზე დაიღუპა, მამაკაცი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ისინი სომხეთიდან საქართველოში დასასვენებლად იყვნენ ჩამოსული.

ბათუმელების ცნობით, ცოლ-ქმარს მანქანა ზებრა გადასასვლელზე დაეჯახა.

როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მას ოპერაციები უკვე ჩაუტარდა.

გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ნიშნიანიძის ქუჩაზე აივანი ჩამოინგრა

## 5 ადამიანი დაშავდა

ნიშნიანიძის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე აივნის ჩამონგრევის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა.

შემთხვევის დროს ხუთივე პირი აივანზე იდგა. ნანგრევებიდან მათი ამოყვანა მაშველებმა მოახერხეს. მათ მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებათ და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

დაშავებულებს შორის 3 უცხო ქვეყნის მოქალაქეა.




# ავარია ბარათაშვილის ხიდთან

## 2 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა

18 აგვისტოს, გამთენიისას, ავარია მოხდა ბარათაშვილის ხიდთან.




ავარიის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 1 კი დაშავდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ველოსიპედით მოსიარულეს შეეჯახა, შემდეგ ის ბორდიურზე ავარდა და მტკვარში გადავარდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რამაც ორი ან მეტი პირის დაღუპვა გამოიწვია ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის ან ექსპლუატაციის დარღვევის გამო.

# „კარწახში“ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ფინანსთა სამინისტროს მებაჟე-ოფიცრებთან ერთად, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „კარწახში“ ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი პირი დააკავეს.

შსს-ს ცნობით, 1961 წელს დაბადებულ თურქეთის მოქალაქე ა.ტ.-ს ბრალად საზღვარზე ხალხის არალეგალურად გადაყვანა ედება.

ამჟამად დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

# გერმანია დევნილის სტატუსს ჩამოართმევს ყველა უცხოელს, რომლებიც მშობლიურ ქვეყანას რეგულარულად სტუმრობენ



გერმანია აპირებს, დევნილის სტატუსი ჩამოართვას ყველა იმ უცხოელს, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ქვეყნებს რეგულარულად სტუმრობენ.

ამის შესახებ ქვეყნის შს მინისტრმა ჰორსტ ზეეჰოფერმა განაცხადა.

მისი თქმით, საიმიგრაციო სამსახური თავიდან შეამოწმებს თითოეული უცხოელის სტატუსს, თუკი შეიტყობს, რომ ესა თუ ის დევნილი თავისი წარმომავლობის ქვეყანაში იმყოფებოდა.

2018 წელს გერმანიაში თავშესაფარი 166 ათასმა უცხოელმა მოითხოვა, 2017 წელს მათი რაოდენობა 198 ათასს შეადგენდა.

გერმანიაში საიმიგრაციო პიკი 2015 წელს დაფიქსირდა, როდესაც სახელმწიფოში 890 ათასი თავშესაფრის მაძიებელი ჩავიდა.

# ქაბულში ქორწილი ააფეთქეს

## 63 ადამიანი დაიღუპა



ქაბულში ერთ-ერთ ქორწილში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებული ტერაქტის შედეგად 63 ადამიანი დაიღუპა და 180 დაშავდა.

მათი ინფორმაციით, წვეულებაზე ათასამდე სტუმარი იმყოფებოდა. პოლიცია ადასტურებს, რომ ტერაქტი სწორედ თვითმკვლელმა განახორციელა, რომელმაც თავი მოზეიმეთა დიდ ჯგუფში აიფეთქა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, წლის დასაწყისიდან ქაბულში ეს უკვე რიგით მეჩვიდმეტე ტერაქტია. წინა 16 ტერაქტის დროს, სულ მცირე, 116 ადამიანი დაიღუპა და 700-მდე დაშავდა.

7 აგვისტოს ქაბულის დასავლეთ ნაწილში, პოლიციის განყოფილებასთან, ავტომობილის აფეთქებას 7 ადამიანი ემსხვერპლა, 145 კი დაშავდა.

# ხანძარი ოდესის სასტუმროში

## 9 ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა



ხანძარს ოდესის სასტუმროში 9 ადამიანი ემსხვერპლა. ცეცხლი 16 აგვისტოს, გვიან ღამით, სასტუმრო „ტოკიო სტარის“ სამრეცხაო ოთახში გაჩნდა.

დაღუპულთა გარდა, დაშავდა 10 ადამიანი.

შემთხვევის ადგილზე 60-ზე მეტი მეხანძრე და 13 ერთეული ტექნიკა იყო მობილიზებული. ხანძრის ლიკვიდაციას სამაშველო ჯგუფმა 3 საათი მოანდომა.

სამართალდამცავებმა ოდესაში ცნობილი მეწარმე, სასტუმრო „ტოკიო სტარის“ მეპატრონე ვადიმ ჩორნი დააკავეს.

ჩორნი ეჭვმიტანილია სასტუმროში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევაში, რამაც 9 პირის დაღუპვა გამოიწვია.

მომხდარის შემდეგ, უკრაინის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, სასტუმროებისა და სანატორიუმების შემოწმება დაიწყო.

სასტუმრო „ტოკიო სტარში“ მომხდარის გამო 18 აგვისტო გლოვის დღედ გამოცხადდა.

# პორტლენდში ექსტრემისტების ლიდერი დააკავეს




პორტლენდის პოლიციამ ადგილობრივი ექსტრემისტების ლიდერი გიბონი დააკავა.

ეს მასობრივი აქციის წინ მოხდა. ექსტრემისტები, რომლებიც გიბონის გარშემო იყვნენ დარაზმულნი, ქალაქის ცენტრში მიტინგის, შემდეგ კი მსვლელობის გამართვას აპირებდნენ.

მიტინგი გაიმართა. წესრიგს 1.000-მდე პოლიციელი იცავდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# 500 წლის ზვიგენი აღმოაჩინეს

გრენლანდიაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ზვიგენი, რომელიც დაახლოებით 500 წლისაა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

სავარაუდოდ, ეს გრენლანდიური პოლარული ზვიგენი 1505 წელს დაიბადა, როდესაც დიდ ბრიტანეთში ჰენრიხ VIII მეფობდა. მეცნიერებმა მისი ასაკი ზომის მიხედვით განსაზღვრეს. გრენლანდიური ზვიგენები წელიწადში ერთ სანტიმეტრს იმატებენ სიგრძეში და ასეულობით წელს ცოცხლობენ.

ამ ზვიგენის სიგრძე 5,4 მეტრს აღწევს.

– ეს ყველაზე ხანდაზმული არსებაა დღეისთვის პლანეტაზე არსებულ ხერხემლიანთა შორის, – აღნიშნა პროფესორმა კიმ პრებელმა.

მეცნიერები ზვიგენის დნმ-ს სწავლობენ მისი დღეგრძელობის მიზეზების დასადგენად.



გრენლანდიური პოლარული ზვიგენის ძირითად საკვებ რაციონს თევზი წარმოადგენს, თუმცა მეცნიერებს დღემდე ვერ მოუხერხებიათ იმის ნახვა, თუ როგორ ნადირობენ ამ სახეობის არსებები. მათ კუჭში მეცნიერებს ირმის და ცხენის ნარჩენებიც კი აღმოუჩენიათ.

# სოკოს საკრეფად წასული მამაკაცი ვეფხვის მსხვერპლი გახდა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში მამაკაცს თავს ვეფხვი დაესხა და შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

28 წლის მანოჯ დჰურვე ტყეში სოკოს შესაგროვებლად იყო წასული. როდესაც რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ ის სახლში აღარ დაბრუნდა, მისმა ნათესავებმა მის მოსაძებნად წასვლა გადაწყვიტეს. მათ ჯერ მამაკაცის ნივთები იპოვეს, შემდეგ კი მისი დაგლეჯილი სხეული.

– შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ ის ვეფხვმა მოკლა, – აღნიშნა სატყეო მეურნეობის სამსახურის თანამშრომელმა რაჯნიშ სინგხმა. მისი თქმით, მტაცებელმა მამაკაცის სხეულის დიდი ნაწილი შეჭამა.



დაღუპულის ოჯახს კომპენსაციის გადახდას შეჰპირდნენ. თავდასხმის ადგილზე სათვალთვალო კამერები იქნა დაყენებული, რომლებიც მტაცებლის მიგნებაში დაეხმარება ხელისუფლებას. სოფლის მცხოვრებლების თქმით, მათ შემოგარენში ვეფხვი უბედურ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე შენიშნეს.

## კალეიდოსკოპი

# მარტოხელა მამაკაცმა ხუთი დღე მხოლოდ „კოკა-კოლათი“ გაძლო




ამერიკის ვირჯინიის შტატის არლინგტონის ოლქში ხანდაზმული მამაკაცი იძულებული გახდა, ხუთი დღის განმავლობაში თავი მხოლოდ „კოკა-კოლათი“ გაეტანა.

მამაკაცი საკუთარ სამზარეულოში დაეცა და წამოდგომა ვეღარ მოახერხა. ერთადერთი, რასაც სწვდებოდა, გაზიანი სასმელი იყო.

აგვისტოს დასაწყისში ფოსტალიონის ყურადღება მიიქცია იმან, რომ მოხუცის ბინის კარი ღია იყო, ხოლო წერილები საფოსტო ყუთში ხელუხლებლად ეწყო. მან მეზობლებს ჰკითხა, ხომ არ დაუნახავთ მათ ამ ბოლო დროს მოხუცებული. ერთ-ერთმა მეზობელმა პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისული სამართალდამცავები ბინაში შევიდნენ და მოხუცი იატაკზე მწოლიარე ნახეს. მათ მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ექიმებმა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– ჩვენ ძალიან შევშინდით და შოკში ჩავვარდით, მაგრამ გაგვიხარდა, როდესაც გავიგეთ, რომ მას ჰქონდა „კოკა-კოლა“, რომლის წყალობითაც სასწრაფოს მოსვლამდე გაძლო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა მეზობელმა კრისტენ ბენსტენმა.

# კრაზანები პოლიციას დამნაშავის დაჭერაში დაეხმარნენ



გერმანიის ქვედა საქსონიის მიწის ქალაქ ოლდენბურგში კრაზანები პოლიციას გაქცეული დამნაშავის დაჭერაში დაეხმარნენ.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც პოლიციამ 32 წლის მამაკაცს მიაგნო, რომელსაც 11 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და სასჯელის აღსრულებას ემალებოდა. დაპატიმრებისთვის თავი რომ აერიდებინა, ის აივნიდან გადახტა და თავი პირდაპირ კრაზანების ბუდეში ამოყო.

მყუდროების დარღვევის გამო გააფთრებულმა კრაზანებმა მამაკაცის დანესტვრა დაიწყეს, რის გამოც ის იძულებული გახდა ქუჩაში გამოვარდნილიყო, სადაც მისი დაპატიმრება პოლიციელებმა სცადეს, თუმცა კრაზანები მათაც თავს დაესხნენ. ამ არეულობაში დამნაშავემ სამართალდამცველებისგან დასხლტომა მოახერხა, თუმცა მწერებმა მას თავი არ დაანებეს. მათ დევნილი გასაბერ აუზში მიიმწყვდიეს და პოლიციელებმაც ის სწორედ იქ დააპატიმრეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკაველობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, ალმაშენებელზე.

# კოუტინიო ბავარიელი გახდა

მიუნხენის ბაიერნსა და ბარსელონას შორის პრინციპული შეთანხმება იქნა მიღწეული. 27 წლის ფილიპე კოუტინიო გერმანულ გრანდში იჯარის წესით 1 წლის ვადით გადავა. მიუნხენელებს ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლებაც რჩებათ. ბრაზილიელი ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

ბაიერნი ბრაზილიელი შემტევის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს გადაუხდის. კლუბებს შორის შეთანხმების თანახმად, გერმანიის ჩემპიონს გამოსყიდვის უფლების შემთხვევაში 120 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

**კარლ-ჰაინც რუმენიგე:**

– ჰასანთან ერთად ბარსელონაში ვიყავი, სადაც შეთანხმებას ფეხბურთელთანაც და კლუბთანაც მივაღწიეთ. ჩვენ უკვე დიდი ხანია კოუტინიოს გადმობირებაზე ვმუშაობთ. სახელს მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია მხოლოდ თამაშის დონე.

**ჰასან სალიჰამიჯიჩი:**

– მინდა, მადლობა ვუთხრა ბარსელონას. ჯერჯერობით კიდევ რამდენიმე დეტალია მოსაგვარებელი, თუმცა ძალიან ბედნიერი ვართ, რომ კოუტინიოს ბაიერნში გადმობირება შევძელით.

# ტალახაძემ მსოფლიო რეკორდი შინაურ არენაზე დაამყარა




ოლიმპიურ სოფელში მდებარე ფრენბურთის არენაზე დასრულდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატი. ასპარეზობაზე ბოლოს 109 და +109 კგ. წონითი კატეგორიის ძალოსნები გამოვიდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზში მოსულმა გულშემატკივარმა რეკორდი იხილა. ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს საუკეთესო ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ თბილისურ ფიცარნაგზე ატაცში 219 კგ. დაძლია, რაც მსოფლიო რეკორდს 1 კილოგრამით აჭარბებს.

ვინაიდან შიდა ჩემპიონატებში ნაჩვენები შედეგები მსოფლიო რეკორდებში არ ითვლება, 25 წლის ქართველი ძალოსნის მიღწევას მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი შეიძლება ვუწოდოთ. მსოფლიო რეკორდად ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ნაჩვენები შედეგი ითვლება.

აღსანიშნავია, რომ 109 კილოგრამ წონით კატეგორიაში აკაკი ტალახაძემ იმარჯვა.

# ბათუმის დინამო გალიდერდა, რუსთავი საშიშ ზონას დაუსხლტა



**დინამო (ბთ)-ჩიხურა 2:0**

**ბათუმი. ანგისა**

1:0, 2:0 ჯიღაური (59, 68)

ეროვნული ლიგის შეხვედრა ანგისას ბაზაზე ბათუმის დინამოსა და საჩხერის ჩიხურას შორის გაიმართა.

პირველი ტაიმი უმეტესად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლებს რამდენიმე საგოლე მომენტიც შეექმნათ, თუმცა რეალიზება ვერ შეძლეს.

სამაგიეროდ, ზღვისპირელებმა მე-2 ტაიმში ივარგეს: ბათუმელებმა მეტოქე ჯაბა ჯიღაურის დუბლის წყალობით დაამარცხეს და ცხრილში გალიდერდნენ.

**რუსთავი-სიონი 2:1**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

0:1 ტატანაშვილი (34), 1:1 ქავთარაძე (36), 2:1 სიჭინავა (80)

**გაძევება:** გოშაძე (76)

ქვემოქართლურ დერბიში რუსთავმა საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტი ბოლნისის სიონი მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა.

ვარლამ კილასონიას გუნდი თავიდანვე ფლობდა აშკარა უპირატესობას და ბევრი სახიფათო მომენტის შექმნაც მოახერხა, თუმცა ანგარიში სტუმრებმა გახსნეს – სიონი წინ დიმიტრი ტატანაშვილმა გაიყვანა.

2 წუთი დასჭირდათ მასპინძლებს ანგარიშის გასათანაბრებლად. გოლი ბოლნისელთა კარი ბექა ქავთარაძემ აიღო.

გარდამტეხი მომენტი მე-80 წუთზე დადგა – ქავთარაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ოთო გოშაძე საჯარიმოს გარეთ ეუხეშა და მოედნიდან გააძევეს. ჯარიმას კი პენალტი მოჰყვა, რადგან ბურთი ცოცხალ კედელში მყოფ ბექა გვარაძეს ხელზე მოხვდა. 11 მეტრიდან დათა სიჭინავამ ზუსტად დაჰკრა და გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუპოვა. ამ გამარჯვებით რუსთავმა ბოლო თვეების განმავლობაში პირველად დატოვა გასავარდნი ზონა.

85-ე წუთზე მსაჯს პენალტის დანიშვნა რუსთავის კარშიც შეეძლო, მაგრამ გიორგი გაბულოვის ხელზე მოხვედრილი ბურთი ვერ დაინახა.

**ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 შონია (29პ), 1:1 მუსელიანი (90)

მშვენიერ ფორმაში მყოფი თბილისის ლოკომოტივი აუტსაიდერ ვიტ ჯორჯიას დაუპირისპირდა და მოულოდნელად მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე გამართულ შეხვედრაში მასპინძელთაგან გოლი თეიმურაზ შონიამ 26-ე წუთზე პენალტით გაიტანა, ხოლო ბოლო წუთზე ზურაბ მუსელიანი საჯარიმოში მცველების გარეშე აღმოჩნდა და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 24 | 14 | 4 | 6 | 39-22 | 46 |
| 2.დინამო (თბ) | 22 | 14 | 2 | 6 | 45-23 | 44 |
| 3.საბურთალო | 21 | 12 | 4 | 5 | 38-26 | 40 |
| 4.ლოკომოტივი | 24 | 11 | 3 | 10 | 29-30 | 36 |
| 5.ტორპედო | 22 | 10 | 4 | 8 | 42-34 | 34 |
| 6.ჩიხურა | 24 | 6 | 10 | 8 | 30-27 | 28 |
| 7.რუსთავი | 24 | 7 | 7 | 10 | 28-37 | 28 |
| 8.დილა | 23 | 7 | 5 | 11 | 24-27 | 26 |
| 9.სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 27-56 | 26 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 24 | 4 | 4 | 16 | 12-32 | 16 |

# შედეგები

## 17 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ბარნლი ..... 2:1
ასტონ ვილა-ბორნმუთი ..... 1:2
ბრაიტონი-ვესტ ჰემი ..... 1:1
ნორვიჩი-ნიუკასლი ..... 3:1
საუთჰემპტონი-ლივერპული ..... 1:2
ევერტონი-უოტფორდი ..... 1:0
სიტი-ტოტენჰემი ..... 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ჩარლტონი ..... 2:2
ბლექბერნი-მიდლსბრო ..... 1:0
ბრენტფორდი-ჰალი ..... 1:1
ბრისტოლი-ქპრ ..... 2:0
ლუთონი-ვესტ ბრომვიჩი ..... 1:2
მილუოლი-უენსდი ..... 1:0
ნოტინგემი-ბირმინგემი ..... 3:0
სტოკი-დერბი ..... 2:2
სუონსი-პრესტონი ..... 3:2
უიგანი-ლიდსი ..... 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-პადერბორნი ..... 3:2
დორტმუნდი-აუგსბურგი ..... 5:1
ვერდერი-ფორტუნა ..... 1:3
ვოლფსბურგი-კიოლნი ..... 2:1
ფრაიბურგი-მაინცი ..... 3:0
გლადბახი-შალკე ..... 0:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-აუე ..... 3:1
ვისბადენი-ჰანოვერი ..... 0:3
შტუტგარტი-ზ.პაული ..... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-რეალი ..... 1:3
ვალენსია-სოსიედადი ..... 1:1
მალიორკა-ეიბარი ..... 2:1
ვილიარეალი-გრანადა ..... 4:4
ლეგანესი-ოსასუნა ..... 0:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ესტრემადურა ..... 0:0
რასინგი-მალაგა ..... 0:1
ალმერია-ალბასეტე ..... 3:0
ელჩე-ფუელაბრანდა ..... 0:2
რაიო-მირანდესი ..... 2:2
სარაგოსა-ტენერიფე ..... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მარსელი ..... 0:0
ამიენი-ლილი ..... 1:0
ბორდო-მონპელიე ..... 1:1
მეცი-მონაკო ..... 3:0
ნიმი-ნიცა ..... 1:2
ტულუზა-დიჟონი ..... 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ლე ავრი ..... 1:3

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

დენ ჰააგი-სპრატა ..... 1:2
ვენლო-აიაქსი ..... 1:4
ემენი-ჰერენვენი ..... 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

მორეირენშე-ჟილ ვისენტე ..... 3:0
ბელენენსეში-ბენფიკა ..... 0:2
პორტუ-სეტუბალი ..... 4:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-კრილია ..... 1:3
ტამბოვი-კრასნოდარი ..... 0:2
ზენიტი-ახმატი ..... 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-მატერსბურგი ..... 5:0
ლინცერი-ტიროლი ..... 1:1
სტ.პოლენი-ზალცბურგი ..... 0:6

**ბელგია. ა დივიზიონი**

კორტრაიკი-ანდერლეხტი ..... 4:2
მეხელენი-სერკლი ..... 3:1
ბევერენი-გენკი ..... 0:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-რიზე ..... 0:1
ქაისერი-ალანია ..... 0:1
სივასი-ბეშიქთაში ..... 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ოპავა-ზლინი ..... 0:3
სლოვაცკო-პრჟიბრჟამი ..... 2:0
ბოჰემიანსი-სიგმა ..... 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-კრაკოვია ..... 2:1
არკა-ლეხი ..... 0:0
იაგელონია-გურნიკი ..... 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-დნიპრო ..... 1:1
დესნა-კოლოსი ..... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-სუნდსვალდი ..... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდ გრელანდი-რუსენბორგი ..... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სკანვორდი



1. მსხვილი მახრჩობელა გველი; 2. კინოოპერატორი ... ახვლედიანი; 3. ნოტი; 4. უწვერულვაშო მამაკაცი; 5. ჩეხი მწერალი (1851-1930); 6. საფუტკრე; 7. დელიბის ოპერა; 8. ინგლისური ავტომარკა; 9. ინდოელი ქალის კაბა; 10. ენაჩლუნგი; 11. ხორციანი კორკოტი; 12. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 14. შტატი აშშ-ში; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ქალაქი საუდის არაბეთში; 17. ... თამაშობანი; 18. ატმოსფერული მოვლენა; 19. ა.ხაჩატურიანის ბალეტი; 20. ჩამონათვალი; 21. რუმინეთის ფულის ერთეული; 22. ჭიდაობის სახეობა; 23. ვულკანური წარმოშობის ქანი; 24. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 25. ლექსის სტრიქონი; 26. საარჩევნო ყუთი; 27. მუსლიმანური ქვეყნების მგოსანი-მომღერალი; 28. ყურძნის ჯიში; 29. დიდი, გამობერილი მუცელი; 30. პოეტი ... ნარიმანიძე; 31. ნოტი; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ფანდი, ხრიკი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შატო; 2. ისე; 3. ტრაქტატი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. შოვი; 7. ჯონსონი; 10. კალა; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ორფოლო; 18. ყიფშიძე; 19. ეტიუდი; 21. მუხტი; 24. ტესლა.

**თარაზულად:** 1. შეიკერი; 3. ტრამპი; 8. კიმონო; 9. ტიკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. ტრიუმი; 22. ნაიკი; 23. ტვისტი; 25. მზე; 26. ოშკი; 27. ეშხი; 28. სიგნატურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფუგა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. ვატერლოო; 6. ყუმი; 7. კანკავა; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. გედი; 16. სხალთა; 18. ბენუარი; 19. ბაიერი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

**თარაზულად:** 1. ფიდელიო; 3. ქაბაბი; 8. მარულა; 9. გალო; 14. დრაჟე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ორერა; 23. ალიევი; 25. რკო; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

# კალეიდოსკოპი

## ალიგატორმა პიტბული მისი პატრონის თვალწინ გადასანსლა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ობერნდეილში ალიგატორი ძაღლს თავს დაესხა.

დილით სინტია რობინსონმა თავისი 45-კილოგრამიანი პიტბული, სახელად ტანკი, სასეირნოდ გაიყვანა. ალიგატორი ძაღლს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც მათ წყლის საწრეტ გუბურას გვერდით ჩაუარეს.

– ის ისეთი სწრაფი იყო, – ამბობს რობინსონი, – პირი სტაცა ისე, რომ ტანკს გადარჩენის მცირე შანსიც კი არ ჰქონია.

ქალის თქმით, რეპტილიის სიგრძე დაახლოებით სამ მეტრს აღწევდა.

– მინდოდა, ჩემს ძაღლს დავხმარებოდი, მაგრამ ალიგატორი ძალიან დიდი იყო, – ამტკიცებს ის, – ასეთი დიდი ალიგატორი აქამდე არასოდეს შემხვედრია. უბრალოდ, ვიდექი და ვუყურებდი, თუ როგორ ყლაპავდა ჩემს ძაღლს. არ ვისურვებდი, ასეთი რამ სხვასაც დაემართოს.

შტატის ბუნების რესურსების დაცვის კომისიამ შემთხვევის ადგილზე სპეციალისტები გააგზავნა. ისინი რეპტილიას ეძებენ.

## ნიანგმა ბავშვი ნავიდან გაიტაცა და შეჭამა



ფილიპინების კუნძულ ბალაბაკზე უზარმაზარი ნიანგი ბიჭს თავს დაესხა და გადაყლაპა.

10 წლის ბიჭი ნავით თავის ძმებთან და დებთან ერთად დაცურავდა, როდესაც მას თავს მტაცებელი რეპტილია დაესხა. მან ბავშვი ნავიდან გადაათრია და წყალში ჩაითრია. ბავშვის მამა შვილის ძებნას შეუდგა, თუმცა მისი ცხედარი ვერსად აღმოაჩინა. საბოლოოდ ერთ-ერთი ადგილობრივი მეთევზის წყალობით ბავშვის სხეულის ნარჩენებს ერთ-ერთ დაჭაობებულ ადგილას მიაგნეს.

– 2015 წლიდან მოყოლებული, ერთი წელსაც არ ჩაუვლია ისე, რომ ვინმე ნიანგების თავდასხმის მსხვერპლი არ გამხდარიყო, – განაცხადა ბუნების დაცვის სამთავრობო საბჭოს წარმომადგენელმა იოვიჩ პაბელომ. ის ასევე მიიჩნევს, რომ ადამიანებისა და მტაცებლების გახშირებული შეტაკებები იმის შედეგია, რომ ცხოველების სამკვიდრო გარემო ნადგურდება და ამიტომ ისინი იძულებულნი ხდებიან, საკვები ნებისმიერ ფასად მოიპოვონ.

## ქალი მანქანით კლდიდან ზღვაში გადავარდა და გადარჩა



დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ უელსში მდებარე ლაიმსლენდის ყურეში ქალი მანქანით კლდიდან გადავარდა და ნაპირზე დამოუკიდებლად გასვლა მოახერხა.

ინციდენტი ორი დღის წინ, ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ექვს საათზე მოხდა. სამაშველო ბრიგადა შემთხვევის ადგილზე 15 წუთში მივიდა და მანქანის მძღოლს პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კლდიდან გადავარდნის დროს ქალი ავტომობილის სალონში მარტო იმყოფებოდა. მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.9232 | ევრო — 3.2395 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5561 | 100 რუსული რუბლი — 4.4227 |

## ამინდის პროგნოზი 19 აგვისტო




## ნინო ხარატიშვილმა 25.000 ევრო მოიგო



გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა მწერალმა ნინო ხარატიშვილმა 25.000 ევრო მოიგო.

ფულადი პრემია მას შილერის მემორიალური პრიზისთვის გადაეცემა.

ფულად ჯილდოს ნინო ხარატიშვილი 14 ნოემბერს შტუტგარტის ლიტერატურულ სახლში საზეიმოდ მიიღებს.

## ია ფარულავას სამარცხვინო ქალი უწოდეს



მსახიობ ია ფარულავას სამარცხვინო ქალი უწოდეს. ამის მიზეზი იას მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეოგანცხადება გახდა, სადაც ის იუსტიციის სახლთან მდგომ მათხოვარზე აკეთებს კომენტარს.

ია ფარულავას სამარცხვინო გიორგი აღაპიშვილმა უწოდა. საზოგადოების ნაწილმა მისი შეფასება გაიზიარა:

– ია ფარულავას რეაქცია უპოვარ ქალზე. ადამიანის ზნეობა იმ ხალხთან მიმართებით ჩანს ხოლმე ყველაზე უკეთ, რომლისგანაც სარგებელს არ შეიძლება ელოდებოდეს.

ია ფარულავა არის სამარცხვინო ქალი!

## წმიდა გიორგის ეკლესია კუსტარული რემონტით დაამახინჯეს



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში მანანას ხევში მდებარე წმიდა გიორგის ეკლესია კუსტარული რემონტით დაამახინჯეს.

ინფორმაცია და ფოტოები დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაბახტევი, მანანას ხევში წმიდა გიორგის ეკლესია. 2000 წელს ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის მიერ კუსტარულად შერემონტებული: საჭიროებს ცემენტის უხეში ნალესობისგან გაწმენდასა და კვალიფიციურ რესტავრაციას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ხვლიკმა ძაღლი დაგლიჯა, მისი პატრონი კი დაასახიჩრა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ვარანმა ძაღლი მოკლა, ხოლო მის პატრონს სერიოზული ტრავმები მიაყენა.

მოზრდილი ხვლიკი დასახლება ფლეიმტრიში შინაურ ცხოველს თავს მისი პატრონის საცხოვრებელი სახლის მახლობლად დაესხა. 72 წლის მამაკაცი და მისი მეუღლე ძაღლის დახმარებას შეეცადნენ. ამის შემდეგ ვარანმა ცხოველს თავი დაანება და თავს უკვე ადამიანებს დაესხა. მან ჯერ ქალს უკბინა ფეხზე, შემდეგ კი მამაკაცს – ხელსა და ფეხზე.

დაშავებული, სავარაუდოდ, მარჯვენა ხელის მოტეხილობითა და ფეხზე ძლიერი სისხლდენით შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ძაღლი მიღებული ტრავმების შედეგად ადგილზევე დაიღუპა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 19 აგვისტოსთვის



**ვერძი** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. ასევე ძლიერდება სექსუალურობა და წინასწარმეტყველების უნარი. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად იპოვით. **კურო** – დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. **კირჩხიბი** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **ლომი** – მეგობრებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ფიზიკური აქტივობისათვის. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რისკი გამართლებული არ არის. თავი შეიკავეთ საქმიანი შეხვედრებისაგან. **ღრიანკალი** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება თამამად დაიწყეთ, ოღონდ ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. თქვენი შესაძლებლობები გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, იკვებეთ სწორად. ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. **თევზები** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:
– რა გაღრიალებს?
– იქ, კუთხეში, ობობაა.
– მერე რა?
– ძალიან საშინელია!
– არც შენ მყავხარ ანგელოზი, მაგრამ ის კი არ ღრიალებს.

●●●

სამსახურის დაწყების მსურველს დაწესებულების ხელმძღვანელი ეკითხება:
– თქვენი ნაკლი?
– ცოტას ვლაპარაკობ.
– და ღირსება?
– არ ვლაყბობ.

●●●

სექს-შოპში მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:
– გოგონი, ის გასაბერი თოჯინა როდისაა გამოშვებული?
– 2019 წლის 12 იანვარს...
– თხის რქაა. ვერ შევეწყობით...

●●●

მამაკაცი გოგონას ეკითხება:
– გოგონი, ნელი მუსიკაა და ასე სწრაფად რატომ ცეკვავთ?
– დრო არ მაქვს, სწრაფად ვიცეკვებ და სახლში გავიქცევი.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– უბრალოდ, უნაკლო ვარ!
ქმარმა ყურადღებით შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:
– მგონი, დროა, სარკე კარგად გავწმინდოთ.

●●●

მამაკაცი ცეკვის დროს ქალს ეკითხება:
– ქალბატონო, ასეთი ღრმა დეკოლტით გაციების არ გეშინიათ?

●●●

სომეხი მუზეუმის შესასვლელში მოლარეს ეკითხება:
– მე, როგორც პენსიონერს, რამე შეღავათი მეკუთვნის?
– დღეს შესვლა უფასოა.
– მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მუზეუმში შესვლაში რამდენს გადამიხდით?

●●●

ორი ბიზნესმენი კურორტზე ისვენებს. ერთი მეორეს ეუბნება:
– იცი, ხანდახან ღამით თავში კარგი საქმიანი წინადადებები მომდის და ამიტომ საწოლის გვერდით ყოველთვის მიდევს უბის წიგნაკი და საწერ-კალამი.
– მე კი – მდივანი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით.
დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09


## ბრიტნი სპირსმა თავი შეირცხვინა



ამერიკელი პოპშემსრულებელი და კინომსახიობი ბრიტნი სპირსი სოციალურ ქსელებში ძვირადღირებული ფეხსაცმელებით თავის მოწონების გამო თაყვანისმცემლებმა გააკრიტიკეს და შეარცხვინეს.

ბრიტნიმ ინსტაგრამში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ფრანგული ბრენდის Louboutin-ს ფეხსაცმელია აღბეჭდილი.

– ოთხი წლის წინ Cristian Louboutin-ს ჩემი პირველი გველის ტყავისგან დამზადებული ქუსლიანი ფეხსაცმელები ვიყიდე, რომლებიც ექვსი ათასი დოლარი ღირდა. სხვათა შორის, ისინი აქამდე ერთხელაც არ ჩამიცვამს, – დაწერა მომღერალმა ფოტოსურათის კომენტარში.

სპირსის საქციელმა მისი ხელმომწერები აღაშფოთა.

– მადლობა, რომ ასე ფუჭად მხარი დაუჭირე ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობას, – დაწერა ირონიულად კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ბრიტნი, ვგონებ, თავს არ უნდა იწონებდე იმით, თუ რამდენი გაქვს გადახდილი იმ ნივთში, თუნდაც იმ ადამიანების თანაგრძნობის ნიშნად, რომელთაც ყოველ დღე მხოლოდ საკუთარი თავის რჩენაზე უწევთ ფიქრი, – ურჩია მეორემ.

– ეგ ფეხსაცმელები აუქციონზე მაინც გაიტანე ქველმოქმედებისთვის, – ურჩია მესამემ.

ბრიტნი სპირსს უკმაყოფილო ფანების კომენტარებზე არ უპასუხია.

## მეგან მარკლი კეიტ მიდლტონთან ისევ „დამარცხდა“



ბრიტანულმა სახელმწიფო პორტალმა სამეფო ოჯახის ყველაზე პოპულარული წევრის გამოსავლენი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა.

სიაში პირველი ადგილი დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ დაიკავა. მას ყველაზე პოპულარულად გამოკითხულთა 72 პროცენტი მიიჩნევს, მას მოჰყვებიან მისი შვილიშვილები პრინცი ჰარი და პრინცი უილიამი – მეორე და მესამე ადგილი შესაბამისად.

პრინც უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონმა ამ სიაში მეოთხე ადგილი დაიკავა და პრინც ჰარის მეუღლე მეგან მარკლს გაასწრო, რომელიც მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. მასზე წინ ასევე აღმოჩნდა და მეხუთე ადგილი დაიკავა დედოფლის მეუღლემ, პრინცმა ფილიპმა.

სულ გამოკითხვაში, რომელიც მთელი წელი გრძელდებოდა, დიდი ბრიტანეთის ცხრა ათასმა ქვეშევრდომმა მიიღო მონაწილეობა.

## ემილი რატაკოვსკი საცვლების რეკლამისთვის გაშიშვლდა



ამერიკელმა ტოპმოდელმა, მსახიობმა და დიზაინერმა ემილი რატაკოვსკიმ საკუთარი ბრენდის Inamorata Women-ის საცვლების ახალი კოლექციის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში მარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ფოტოსურათზე 28 წლის მოდელი ლეოპარდის გამოსახულებიან ტრუსებში პოზირებს, შიშველი მკერდი კი ხელით აქვს დაფარული.

– იდეალური ტრუსი იდეალური გამოსახულებით, – დაწერა გოგონამ სურათის კომენტარში, რომელსაც ამ დროისთვის უკვე 22 ათასზე მეტი მოწონება აქვს მიღებული.

## ველოსიპედისტი დათვს დაეჯახა და თითი მოიტეხა

ამერიკის პენსილვანიის შტატში ველოსიპედისტი შავ დათვს დაეჯახა და თითის მოტეხით გადარჩა.

ჯიმ ტრიანო ველოსიპედით გზაზე მიდიოდა და დათვს შეეჯახა, რომელიც იმ მომენტში კენკრის ჭამით იყო დაკავებული. დაჯახების შედეგად მამაკაცი ველოსიპედიდან გადავარდა და მარჯვენა ხელის თითი მოიტეხა. მოულოდნელობისგან დამფრთხალმა ცხოველმა ტყეს შეაფარა თავი.



თავად ტრიანოს თქმით, აღნიშნული ინციდენტი მისი დაბადების დღის მეორე დღეს მოხდა.

– ყველანი მეუბნებიან, კიდევ კარგი, დათვი თავს არ დაგესხაო, – აღნიშნა მამაკაცმა, – სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში იმ მდგომარეობაში ნამდვილად არ ვიყავი, რომ ასეთ დიდ ცხოველს შევბრძოლებოდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ინგლისელი პოეტი; 3. მოსკოვის მთავარი შენობა; 8. უეცარი შიში, თავზარი; 9. სარტყმელი საკრავი; 14. კახი კავსაძის კინოროლი; 15. დახურული, ოთხთვალა ეტლი; 17. დამხმარე თეორემა; 20. თავის კანი თმებიანად (ველურთა ნადავლი); 22. სპორტის სახეობა; 23. იგივეა, რაც კატარღა; 25. ნიავი; 26. ინტუიცია; 27. ტროპიკული ხილი; 28. ზემოდან მართული თეატრალური თოჯინა; 29. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 30. სუსტი არაყი; 31. ცალკე ადამიანი, პიროვნება.

**შვეულად:** 1. თევზსაჭერი მოწყობილობა; 2. სოფელი რაჭაში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. მეექვსე ნოტი; 5. შაქრის ლერწმის მჭრელი მუშა კუბაზე; 6. შუშა; 7. დიდი მაიმუნი წაგრძელებული დრუნჩით; 10. ძვირფასი ქვა; 11. მედიცინის დარგი; 12. ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 13. კურკოვანი ხილი; 16. დავა, პაექრობა; 18. მოთავისე, თავკერძა ადამიანი; 19. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერა; 21. აპოლონის სადიდებელი ჰიმნი ძველბერძნულ პოეზიაში; 24. სცენის გასანათებელი მოწყობილობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*